საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
MINISTER OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

№_____ „____“_____20 წ

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ დავით უსუფაშვილს

ბატონო დავით,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის ანგარიშს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე.

საქართველოს განათლებისა და მაცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 თებერვლის N23/ნ ბრძანების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად გამოქვეყნების სამმართველოს ხელმძღვანელობს სამმართველოს უფროსი, რომელიც წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურეს. საქართველოს განათლებისა და მაცნიერების მინისტრის 2014 წლის 10 იანვრის N1/კ-59 ბრძანების საფუძველზე, საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად გამოქვეყნების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა ირაკლი კოპალიანი, ხოლო 2015 წლის 21 ივლისის N1/კ-438 ბრძანების საფუძველზე, საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად გამოქვეყნების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა ნინო გაბრიელაშვილი.

2015 წლის საანგარიშო პერიოდში სამინისტროში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავიდან გამომდინარე წარმოდგენილ იქნა 632 განცხადება (საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე სამინისტროში მოთხოვნა არ შემოსულა), მათ შორის, ელექტრონული

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52, ცხელი ხაზი: 2 200 220
52 Dimitri Uznadze st., Tbilisi, 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ./Tel.: (+995 32) 2 31 89 40

ფორმით შემოსული განცხადებების რაოდენობა შეადგენს 111, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ელექტრონული ფორმით წარმოდგენა უზრუნველყოფილია სამინისტროს ელექტრონული პორტალის მეშვეობით (http://mes.gov.ge/publicInfo/?page_id=13) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.

წარმოდგენილი განცხადებებიდან, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზ-რუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ რეაგირება განხორციელდა ყველა მოთხოვნაზე. დასაბუთებული უარი ეთქვა 54 განმცხადებელს (აღნიშნულის საფუძ-ველს წარმოადგენდა საქართველოს კონსტიტუცია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი). 10 განცხადებაზე მიმდინარეობს წარმოება. კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის ცალკეული სტრუქტურული ერთეულები მათთვის დებულებით დაკისრებული საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას და შენახვას. სამინისტროში პერსონალური მონაცემები დაცულია, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (eflow) ინახება ელექტრონული ფორმით არსებული პერსონალური მონაცემები, რომლებსაც განმცხადებელი უთითებს მის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში. აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავების და შეგროვების უფლებამოსილება. დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც თავის მხრივ, გამორიცხავს არაუფლებამოსილი პირებისათვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომას.

სამინისტროს მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვებასთან, დამუშავებასთან, შენახვასა და სხვისთვის გადაცემასთან დაკავშირებული წარმოება ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნათა შესაბამისად. აღნიშნული და ასევე სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული „სამართლებრივი

დახმარების“ რეგულაციების შესაბამისად), სამინისტროში ასევე განხორციელდა ადმინისტრაციული წარმოება დამატებით 82 განცხადებასთან დაკავშირებით.

2015 წლის საანგარიშო პერიოდში სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას გადაწყვეტილების მიღების დროს სამინისტრო ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციას და საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს, ასევე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს. საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს: განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არქივში დაცული არ იყო; განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავდა სხვის პერსონალურ მონაცემს.

2014 წელს წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარზე სამინისტროს გადაწყვეტილება გასაჩივრდა სასამართლოში სარჩელის წარდგენის გზით, რომელთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალწარმოება ამჟამად მიმდინარეობს. 2015 წლის განმავლობაში სამინისტროში ადმინისტრაციული საჩივარი საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით წარმოდგენილი არ ყოფილა.

ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები სამინისტროს არ გაუწევია.

პატივისცემით,

თამარ სანიკიძე

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ დავით უსუფაშვილს

ბატონო დავით,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის ანგარიშს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე.

საქართველოს განათლებისა და მაცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 თებერვლის N23/ნ ბრძანების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად გამოქვეყნების სამმართველოს ხელმძღვანელობს სამმართველოს უფროსი, რომელიც წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურეს. საქართველოს განათლებისა და მაცნიერების მინისტრის 2014 წლის 10 იანვრის N1/კ-59 ბრძანების საფუძველზე, საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად გამოქვეყნების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა ირაკლი კოპალიანი, ხოლო 2015 წლის 21 ივლისის N1/კ-438 ბრძანების საფუძველზე, საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად გამოქვეყნების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა ნინო გაბრიელაშვილი.

2015 წლის საანგარიშო პერიოდში სამინისტროში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავიდან გამომდინარე წარმოდგენილ იქნა 632 განცხადება (საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე სამინისტროში მოთხოვნა არ შემოსულა), მათ შორის, ელექტრონული

ფორმით შემოსული განცხადებების რაოდენობა შეადგენს 111, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ელექტრონული ფორმით წარმოდგენა უზრუნველყოფილია სამინისტროს ელექტრონული პორტალის მეშვეობით (http://mes.gov.ge/publicInfo/?page_id=13) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.

წარმოდგენილი განცხადებებიდან, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზ-რუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ რეაგირება განხორციელდა ყველა მოთხოვნაზე. დასაბუთებული უარი ეთქვა 54 განმცხადებელს (აღნიშნულის საფუძ-ველს წარმოადგენდა საქართველოს კონსტიტუცია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი). 10 განცხადებაზე მიმდინარეობს წარმოება. კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის ცალკეული სტრუქტურული ერთეულები მათთვის დებულებით დაკისრებული საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას და შენახვას. სამინისტროში პერსონალური მონაცემები დაცულია, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (eflow) ინახება ელექტრონული ფორმით არსებული პერსონალური მონაცემები, რომლებსაც განმცხადებელი უთითებს მის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში. აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავების და შეგროვების უფლებამოსილება. დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც თავის მხრივ, გამორიცხავს არაუფლებამოსილი პირებისათვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომას.

სამინისტროს მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვებასთან, დამუშავებასთან, შენახვასა და სხვისთვის გადაცემასთან დაკავშირებული წარმოება ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნათა შესაბამისად. აღნიშნული და ასევე სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული „სამართლებრივი

დახმარების“ რეგულაციების შესაბამისად), სამინისტროში ასევე განხორციელდა ადმინისტრაციული წარმოება დამატებით 82 განცხადებასთან დაკავშირებით.

2015 წლის საანგარიშო პერიოდში სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას გადაწყვეტილების მიღების დროს სამინისტრო ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციას და საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს, ასევე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს. საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს: განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არქივში დაცული არ იყო; განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავდა სხვის პერსონალურ მონაცემს.

2014 წელს წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარზე სამინისტროს გადაწყვეტილება გასაჩივრდა სასამართლოში სარჩელის წარდგენის გზით, რომელთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალწარმოება ამჟამად მიმდინარეობს. 2015 წლის განმავლობაში სამინისტროში ადმინისტრაციული საჩივარი საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით წარმოდგენილი არ ყოფილა.

ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები სამინისტროს არ გაუწევია.

პატივისცემით,

თამარ სანიკიძე

შემსრულებელი:

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად გამოქვეყნების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

----------07.12.15 /მედიკო მიროტაძე/

შეთანხმებულია:

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად გამოქვეყნების სამმართველოს უფროსის მ/შ

---------- /ნინო გაბრიელაშვილი/

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

----------/ეკატერინე მაჩიტიძე/

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი

----------/დავით ლომინაშვილი/

07.12.2015